

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი- ვახტანგ ნიჟარაძე

თანამდებობის დასახელება

კომისიის დასახელება - 1.სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია 2. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

ფრაქციის დასახელება _ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – მაჟორიტარი სოფ. ვაკიჯვარი 60/27/28

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 1 ნოემბრიდან--2020 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 14 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი 0

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება 10 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი 0

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა--9

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება---7

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა---0--- დადგენილება,---0--- განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები

- ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ;
- ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
- გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისათვის გომისმთის სახელის მინიჭების შესახებ.
- დ) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“
- ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.
- ვ) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ზ). „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“.
- თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -----12----- და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა -----125-----

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

1. სოფლების ვაკიჯვრის და ცხემლისხიდის უჩხუბის უბნის დამაკავშირებელი ხიდის

რეაბილიტაცია.

2. სოფელ ვაკიჯვრის სარწყავი არხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია

3. სოფლების ვაკიჯვრისა და ბახვის ცენტრებს შორის არსებული 3 (სამი) კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია

4. სოფელ ფამფალეთის სასმელი წყით უზრუნველყოფა.

5. სოფლების ვაკიჯვრისა და ფამფალეთის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა.

6. სოფლების ვაკიჯვრისა და ფამფალეთის ცენტრების კეთილმოწყობა.

7. სოფლების ვაკიჯვრისა და ფამფალეთის მგზავრთა მოსაცდელელების მოწყობა.

8. სოფლის შეჭივრებული ოჯახებისთვის მედიკამენტებით და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.

9. სოფელ ფამფალეთის ცენტრში მცირე ზომის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

10. სოფელში არსებულ ჩიხებში გარე განათების მოწყობა.

11. სოფელში არსებულ ჩიხებში დაზიანებული საგზაო მონაკვეთების პრობლემა.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

1. მუნიციპალიტეტის მერაისთან შუამდგომლობით მომზადდა სოფლების

ვაკიჯვრის და ცხემლისხიდის დამაკავშირებელი ხიდის პროექტი. მიმდინარეობს ხიდის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მოსამიებლად შესაბამის სამინისტროებთან და ფონდებთან მუშაობა.

2. სოფელ ვაკიჯვრის სარწყავი არხის სათავე ნაგებობის პრობლემა გავაცანით, როგორც მუნიციპალიტეტის მერს, ასევე პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს.

3. მიმდინარეობს სოფლების ვაკიჯვრისა და ფამფალეთის სასმელი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები რომელიც დასრულდება 2021 წელს.

4. სოფელ ვაკიჯვარსა ფამფალეთში დასრულდა ბუნებრივი აირის ქსელის მოწყობა.

მოსახლეობის ქსელზე დაერთება დაიწყება 2021 წლის გაზაფხულიდან.

5. სოფლების ვაკიჯვრისა და ფამფალეთის ტერიტორიაზე მოეწყო მგზავრთა მოსაცდელელები.

6. სოფელ ფამფალეთის ცენტრში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მცირე ზომის სპორტული მოედანს.

7. ჩატარდა სოფელ ვაკიჯვრის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები.

8. სოციალურად დაუცველ ოჯახებს გაეწია შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის

მერიასთან სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე , რაც დადებითად გადაწყდა.

9. სოფელში არსებულ ჩიხებში მოხდა გზის მოხრეშვითი სამუშაოების და გარე განათების მოწყობა.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

პანდემიის პირობებში საკრებულოს წევრების პირადი სახსრებით მოხდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარების გაწევა სასურსათო პროდუქტებით, ამ ინიციატივას შემოუერთდა არაერთი თანასოფლელი, რომელთა ნაწილი იმყოფება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში თუ საზღვარგარეთ. მათი მხარდაჭერით დღემდე გრძელდება შეჭვივებული ოჯახების დახმარება.

შევსების თარიღი 02/02/2021 წ.

წარდგენის თარიღი 03/02/2021წ.

ხელმოწერა -----